

## განმარტებითი ბარათი

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

არსებული კანონის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ ქვეყანაში და გააჩნია ამ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ სარგებლობს საქართველოში გამარტივები შემოსვლის წესით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ ქვეყანაში და გააჩნიათ ამ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გავრცელდეს ის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დადგენილია ამ ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით მანირტება ტერმინი „რეზიდენტი“ და ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ ქვეყანაში მცხოვრებ რეზიდენტებზე გავრცელდება იგივე სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დადგენილია ამ ქვეყნების მოქალაქეების მიმართ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება;

**ბ.ვ) კანონპროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტის მიხედვით არ ხდება რაიმე სახის გადასახადის ან მოსაკრებლის დადგენა.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: აკაკი მინაშვილი, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი კანდელაკი და კობა ხაბაზი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: აკაკი მინაშვილი, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი კანდელაკი და კობა ხაბაზი.